საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

თავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 92 | პარასკევს, 15 ნოემბერი, 1918 წ. | № 92

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრობის მოამბე ეროვნულდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 16 ნოემბერს

მ. ი. ალეშკოს, ვ. ა. ბერეზინისა და ფ. ნ. პოლიაევას მონაწილეობით

I

სელსკაია ჩესტ

ოპერა ერთ მოქმედებათ.

II

ო. ა. შულგინას, ტ. ორდას და ა. მ. კაწინის მონაწილეობით

კაიაცი

ოპერა ორ მოქ. მუსიკა ლეონკავალოსი.

ფასები საგრძნობლად დაკლებულია, დასაწყისი 8 საათზე. კვირას, 17 ნოემბერს დილით, ტ. ა. შამბერგის, ვ. მ. ბერეზინისა და ვ. ა. ნიკოლსკის მონაწილეობით “ფაუსტი“. საღამოს ო. ა. შულგინას, ზალიპსკისა და პოლიაევის მონაწილეობით „M-me ბატერფლეი.“

წარმომადგენელი ს. ი. ევლახოვი

სახელმწიფო თეატრი

ოქრომჭედლის, 18 ნოემბერს

ქართ. დრამატიული საზოგადოების ახალი დასი ხსნის სეზონს ბრიეს 5 მოქ. მუსიკალური დრამით

„სარჩულოები“

პიესა რამდენჯერმე განმეორდება. სხვა და სხვა ანსაბლით. შემდეგი წარმოდგენები: „ღალატი“, „მსხვერპლი“, „ბურუსი“, „ვითა ფოთლები“ და სხვა.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. ადმინისტრ. მიხ. ხერხეულიძე.

ცენზურის

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

13 ნოემბერი, 1918 წ.

№ 39.

დანიშნულ იქმნეს: იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო ნაწილის კორექტორად ამა წლის ნოემბრის თორმეტიდან დაეთ. ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი.

იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის ფ.-ტ. ოლქის უფროსისა.

13 სექტემბერი, 1918 წ.

№ 126.

სიებიდან ამოშორიცხვნენ: ლაგოდეხის ფ.-ტ. კანტორის უფროსი IV კლ. ილია ჩაპიკინი, ფ.-ტ. მოხელეები ფ.-ტ. კანტორებისა: ალექსანდროპოლის V ხარ.: სტანისლავა პავსკაია, ვალენტინა ბასკაკოვისა, VI ხარ. ზინაიდა კულიკოვსკაია, პეტრე ლაზარევი, სარიყამიშის VI ხარ. პაველ პანასენკო, ახალციხის II ხარ. მიკირტიჩა გრიგორიანცი, ბორჯომის V ხარ. ოგანესი ასლანოვი, ახალქალაქის III ხარ. არსენი ვასილენკო, V ხარ. დავიდ კარაპეტიანცი ,ბათუმის I ხარ. ელადიმერ მანუილოვი, II ხარ. ოვნან დარპინოვი, ოლღა დანოვიჩ-პონომარენკო, III ხარ. ონუფრი ტარნოგრადსკი, IV ხარ. ზაქარია ცხოვრებოვი, V ხარ. იანინა-კაზიმირა გეი თამარა დოლინინა და VI ხარ. იულია ვერუბიცკაისი, ბელი-კლიუჩის“ V ხარ. ალექსანდრე ვალდშეიდი და პაველ ხარატოვი, გორის V ხარ. აკოფ ვრნიკიანცი, გურჯაანის V ხარ. სპირიდონ ლევეოპულო და ოლღა ანგლიკოვსკაია, VI ხარ. გრიგორ რომანოვეცი, ლაგოდეხის IV ხარ. ვლადიმერ მიხაილოვი, მიხაილოვის II ხარ. სერგო გალჩენკო, მცხეთის VI ხარ. ოგანეს კალატოზიანცი და ფოსტალიონები ფ.-ტ. კანტორებისა: ალექსანდროპოლის ბრონისლავა სოლინსკაია, ბორჯომის—დომიტრი ივანოვი, ჯელალ-ოღლისა ნიკოლოზ ბროვკინი, ახალქალაქის ტეფუნე ავადეანცი და სორომ შაინიანცი, ბათუმის კონსტანცია ჩერნუშევიჩი, ლაგოდეხის ალექსანდრე ლაშენკო, მანგლისის კონსტანტინე ვარდიკოვი, კირიაკ პოზოვი (იგივე ვოზოვი) და ბათუმის ელენე სკუბიშისა, ყველა 39 პირი თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობისა 20 ივლისიდან 1918 წ. № 13243 ოლქის ტერიტორიის შემცირების გამო და მასთან საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულების შტატების შემოკლებისა 1 აგვისტოდან ამა წლისა.

14 სექტემბერიდან, 1918 წ.

№ 127.

სიებიდან ამოშორიცხვნენ: აბასთუმანის ფ.-ტ. კანტორის IV კლ. უფროსი თედორე მიხაილოვი, ალავერდის ფ.-ტ. კანტორის VI კლ. უფროსების თანაშემწეები გაბრიელ არაქელიანცი, წნორის წყლის ფოსტის კანტორის VI კლ. პავლე აკიმენკო, ფ.-ტ. განყოფილების უფროსები: გომბორის ალექსი პანკრატოვი, ვორონცოვკის ოსიპ სერბეევი, (იგივე სერბინი), ფ.-ტ. მოხელეები ფ.-ტ. კანტორების: ბორჯომის VI ხარ. ივანე მატიაშკო, ალექსანდროპოლის III ხარ. ანდრიას ინდუშკიანცი, ფრანც სალაზარიანც (იგივე ოღანესოვი) IV ხარ. ვარაგ ტერ-პეტროსოვი (იგივე ოღანესიანცი), ფოთის III ხარ. ფილარეტ მაიაროვსკი, IV ხარ. ნადეჟდა ანცევა, ბაიუმის II ხარ. სტეფანე ორლოვი, III ხარ. ალექსანდრე სულოვსკი, IV ხარისხ. ნიკიფორე კალმიკოვი, VI ხარისხ. მოლანია ლევინსონი, თვლავის IV ხარისხის ვალენტინ გოსლიცკი, ჰიათურის III ხარ, გიორგი ჩქიკლოვი, ორდანურის VI ხარ. იოკიმე იუშკო, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის: II ხარ. გრიგოლ დოროტონი და III ხარ. სარქისი სარაფიანცი (იგივე ზარაპიანცი), ფ.-ტ. განყოფილების: გომბორის VI ხარ. მარიი პანკრატოვისა, ყვარელის VI ხარ. ტატიანა კობახიძისა, ქელაშის VI ხარ. სერგო ჟურბა, ტფილისის 3 სამოქალაქო I ხარ. დიმიტრი ბოროზოვი და ფოსტალიონები: ფოსტა-ტელეგრაფის. კანტორების: ახალციხის ლევან პაპიკიანცი (იგივე ზაბიკიანცი და გუშისკიანცი). ბათუმის ფეოდოსია ნოვიკოგისა, ვარვარა პოპოვისა, ეგენენია კობეცი,ნდეყდა პლაუნოვისა, სიღნაღის ლიდია მაღალაკო, თუქურმაშის ზინაიდა ლობკო, ფოტა-ტელეგ. განყოფილების: გომბორის ტახონ ლავრენკო, ვორონცოვკის—ვასილ ლუგვანოვი, ქუთაისის 1—სამოქალაქო ვიქტორ ხრეანოვსკი და ტფილისის I სამოქალაქო პარასკევა ოსინი, ყველა ოცდა თუთხმეტი პირი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობის თანახმად 20 ივლისიდან 1918 წ. № 13243, ოლქის ტერიტორიის შემოკლების გამო,მასთან საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებების შტატების შემცირებისათვის I აგვისტოდან 1918 წ.

ფ.-ტ. ოლქის უფროსი მგელაძე.

საწერ მანქანებს

ქართულ ენაზე ვიღებ გადასაკეთებლად.

შრიფტი ფოლადისაა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება

ტეხნიკურ კანტორაში ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკისა,

1020 ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1, ტელ. 16—36. 4—2

ექიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჭლეშისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

5 000 000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის

და

თეატრის სასარგებლოთ.

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

***

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლიეს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლიეს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!

მაშ, შეუწყე ხელი
ქველნის აღყვავებას,
ბეჭედ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-აღმაღლებას!

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.

6 ნოემბერი, 1918 წ.

№ 41.

გზათა სამინისტროსთან არსებულ საავტომობილო განყოფილების აქციონერულ წესზე მოსაწყობათ საჭირო მუშაობის წარმატებისათვის საავტომობილო განყოფილების უფროსი ვ. ლ. გოგუშვილი დროებით თავისუფლდება თავის პირდაპირ მოვალეობის ასრულებისაგან დარჩება საერთო ხელმძღვანელად ამ განყოფილებისა.

პირდაპირი გამგებლობა საავტომობილო განყოფილებისა დაეკისრა ინჟ. მ. ჯაშს. ვ. ლ. გოგუშვილის წინადადებას ვაძლევ სავრცოთ მოამზადოს და წარმომიდგინოს მოლი მასალა საქციონერო საზოგადოების მოსწყობად.

10 ნოემბერი, 1918 წ.

№ 44.

თანახმად მთავრობის განკარგულებისა, განზრახულ საქციონერო საზოგადოების შესადგენათ საავტომობილო განყოფილებისაგან ვნიშნავ საორგანიზაციო კომიტეტს ბატონ გოგუშვილის თავმჯდომარეობით და წევრების ბ-ნნ გ. ფიცხელაურის და ი. წივწივაძის შემადგენლობით.

გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

13 ნოემბერი, 1918 წ.

№ 39.

დანიშნულ იქმნეს: იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო ნაწილის კორექტორად ამა წლის ნოემბრის თორმეტიდან დაეთ. ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი.

იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის ფ.-ტ. ოლქის უფროსისა.

13 სექტემბერი, 1918 წ.

№ 126.

სიებიდან ამოშორიცხვნენ: ლაგოდეხის ფ.-ტ. კანტორის უფროსი IV კლ. ილია ჩაპიკინი, ფ.-ტ. მოხელეები ფ.-ტ. კანტორებისა: ალექსანდროპოლის V ხარ.: სტანისლავა პავსკაია, ვალენტინა ბასკაკოვისა, VI ხარ. ზინაიდა კულიკოვსკაია, პეტრე ლაზარევი, სარიყამიშის VI ხარ. პაველ პანასენკო, ახალციხის II ხარ. მიკირტიჩა გრიგორიანცი, ბორჯომის V ხარ. ოგანესი ასლანოვი, ახალქალაქის III ხარ. არსენი ვასილენკო, V ხარ. დავიდ კარაპეტიანცი ,ბათუმის I ხარ. ელადიმერ მანუილოვი, II ხარ. ოვნან დარპინოვი, ოლღა დანოვიჩ-პონომარენკო, III ხარ. ონუფრი ტარნოგრადსკი, IV ხარ. ზაქარია ცხოვრებოვი, V ხარ. იანინა-კაზიმირა გეი თამარა დოლინინა და VI ხარ. იულია ვერუბიცკაისი, ბელი-კლიუჩის“ V ხარ. ალექსანდრე ვალდშეიდი და პაველ ხარატოვი, გორის V ხარ. აკოფ ვრნიკიანცი, გურჯაანის V ხარ. სპირიდონ ლევეოპულო და ოლღა ანგლიკოვსკაია, VI ხარ. გრიგორ რომანოვეცი, ლაგოდეხის IV ხარ. ვლადიმერ მიხაილოვი, მანგლისის IV ხარ.

არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 15 ნოემბერი.

საერთაშორისო მდგომარეობაში ბეტისმეტათ რადიკალური ცვლილება მოხდა. ომის ღმერთმა—მარსმა გამარჯვების სასწორი შეთანხმების სახელმწიფოთა მხარესაკენ გადახარა და შეთანხმების სახელმწიფოთა ბანაკი გამოდის დღეს საზავო პირობების მაკარნახებლად. ის მიზანი, რომელიც სიტყვიერათ დაისახეს შეთანხმების სახელმწიფოებმა, რომ გერმანიის მილიტარიზმი უნდა განადგურდეს, ჯავშნიანი მუშტი უნდა დაიმსხვრეს,—დღეს მიხწეულია. მართლაც, დამარცხდა გერმანია ამ დიდ ბრძოლაში და ეს დამარცხება იმდენათ ძლიერია, რომ იგი იძულებულია მიიღოს დროებითი ზავის მძიმე პირობები, თუ გინდ ისეთიც, რომელიც სატრანსპორტო ფლოტის გადაცემას და გერმანიის ბლოკადის შეებება, რომელიც გერმანიის სოციალისტური მთავრობის სიტყვით—გერმანიას უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებს, რამოდენიც მილიონ მამაკაცის, ქალისა და ბავშის შიმშილისაგან სიკვდილს გამოიწვევს. აი, ასეთ ძნიმე დროებით საზავო პირობებს ხელს აწერს გერმანია, მაგრამ ეს პირობები დროებითია და იქ, სადაც ეს საკითხი საბოლოოთ გადაიჭრება, იქ ვეღარ, და რომ არ ეგნება, ამისათვის საერთაშორისო დემოკრატია ეზადება და თავისი ძლიერი ხმით წმინდა დემოკრატიულ ზავისაკენ წაიყვანს საქმეს.

* * *

გერმანიის რევოლუცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ის ძუნწი ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ერთი შეხედვით გერმანიის რევოლუცია მეტად წააგავს რუსეთის რევოლუციას. გარეგანი მხარე რევოლუციონერი პროცესისა დიდად ემსგავსება რუსეთის რევოლუციის პროცესს. მაგრამ ნამდვილად კი ასეთ არა რადგან, გერმანიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი და უსაზღვრო, ვიდრე იყო რუსეთში რევოლუციის დაწყების ხანაში. ცხადია, გერმანიის სოციალისტები რუსეთის რევოლუციის გაკვეთილებით ისარგებლებენ და ამ გაზს არ ჩაასვენებენ, რომელიც ქვეყანას ეკონომიურად გაანადგურებს, როგორც ეს მოხდა რუსეთში. გერმანიის რევოლუციონერ მთავრობაში ორ უკიდურეს მიმართულებას—შეიდემანის და ლიებკნეხტის—ფრთის შერთება ამის აშკარა დამამტკიცებელია. მთლიანათ სოციალ-ისტური ფრონტის შექმნა, რაზე რუსეთის რევოლუციის კოლოსალური ენერგია დახარჯა, დღეს უკვე ფაქტია გერმანიაში. და ეს ფაქტი გვაფრთხილებს, რომ გერმანიის რევოლუციის ბანაკში მთლიანად მიღწეული არის, და ამაში მით უფრო ცრუმუნდებით, რომ გერმანიის რევოლუციაც განსრატივებული არ არის და მასთან ბრძოლა ფაქტი და მასზედაც—მოკვდება მთელი დასავლეთის ევროპის დემოკრატია.

მთავრობაში.

დახმარება მოქანდაკე ნიკოლაძეს.

მიეცეს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს შვილი 20 წლის მოღაწეობის აღსანიშნავათ ყოველ მომარაგების კომიტეტიდან ატლეტის შენობის ასაგებად საჭირო მასალა, რომელიც აღნიშნულია მაწათ-მოქმედების მინისტრის მოხ ენებასთან დართულ სიაში.

ჭიათურის შავი-ქვის საქციონერო საზოგადოება.

მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს უფლება—ნება დართოს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საქციონერო საზოგადოების თავის წევრთაგან მაღნების საკუთრებით შეძენისა, რამდენათ ეს ხელს არ შეუშლის ავრცელ რიფორმის ცხოვრებაში გატარებას, თუ ამის საჭიროდ დაინახავს მინისტრი; ეს დადგენილება წარუდგინეს პარლამენტს შესატყვისი კანონ-პროექტის სახით.

საჯარო სავაჭროების საბჭო.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება განსაკუთრებული საჯარო-სავაჭრო საბჭოების დაარსების შესახებ მოწონებულ იქნა.

შრომის სამინისტრო შტატები.

თანახმად სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნისა მიღებულ იქმნას შრომის სამინისტროს შტატები დახარჯულ-ღირებება ფონდ-სთა მინისტრის წესდებით წარედგინოს პარლამენტს.

50,000 მან. ავანსი

მიეცეს შრომის სამინისტროს ავანსად სხვა და სხვა დაწესებულებათა შესანახად 50,000 მანეთი ამ მილიონიან ფონდიდან ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში.

კრედიტი სახაზინო პალატას

გაეხსნას ტფ. სახაზინო პალატას მის დაქვემდებარებულ ხაზინების მოხელეთათვის, გარდა ტფილისისა, თოთ პროც. სარჩევის მისაცემად 9523 მანეთის კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან, ამ თანხის სახელმწიფო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის სათანადო ჩარიცხვით.

ყოფილ თავად-აზნაურთა ქონება.

საფუნდათმოურისო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება თავად-აზნაურობის ქონებისა და ვალდებულებათა უფუძებათა შორის განწილების შესახებ; მოწონებულ იქმნეს იმ შეხსრობით, რომ ტფილისის საკრებულოს უფლელ თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს არჩევები გადაეცეს ტფილისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას; განთვის ქუჩაზე მდებარე სახლი გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, თუ იგი არ გაიყიდა სკოლის საჭიროებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

იარაღის აყრა.

გვინრა. წულუკიძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბორჩალოს მაზრის ს. შულავერის მცხოვრებთა იარაღის აყრა დაეშთავრეთ.

სომხების საწყობები.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო სომხის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელის მოწერილობის ასლი მიღიციასა და დარაჟთა შესახებ, რომელნიც ღასდენ სომხების რესპუბლიკას საწყობის სათანადო განკარგულებათა სათვის; სომხის დიპლომატიური წარმომადგენელი სთხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოახდინოს იმ დატყვევებულ სომეხ ჯარის-კაცთა განთავისუფლების შესახებ, რომელნიც მანთაშეულს ქარდასლაში სომეხთა სამხედრო ქონების უფთხილებლობით და ძალადობა აღმოუჩინა მაღიციის და სამხედრო ნაწილებს ჩხრეკის მოხდენის დროს.

სომეხთა ლტოლვილნი

სომეხთა ეროვნულ საბჭოს ლტოლვილთა განწყობილება სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება მოახდინოს, რეკომენდაციის წარმოთქმულ მაზრის დაპრუნების შესახებ, რომელიც ბაკურიანში მოსახლე ლტოლვილებს ეკუთვნის და მოთავსებული იყო ბორჯომის სასურსათო საწყობში.

სადარაჯოს დაარსება.

დაიის დამკვიდრ გამგეობამ შეამდგომლობა აღძრა შინაან საქმეთა სამინისტროს წინაშე, სათანადო სადარაჯოს დანიშვნის შესახებ. სამინისტრომ მიიხილა მილიციის უფროსის ამ შეამდგომლობის დაკმაყოფილება. ამ ჟამად მილიციის უფროსი აცნობებს, რომ შტატის სიმცირის გამო სადარაჯოს გამართვა მილიონერებისაგან მოუხერხებელია და გთხოვთ სახმედრო ნაწილებიდან შეადგინოთ ეს სადარაჯო.

დახმარება მილიციას.

შინაგან საქმეთა მინისტრი შეამდგომლობს მთავრობის წინაშე 200.000 მანეთის გადადების შესახებ სამხედრო მინისტრის განკარგულებაში მილიციელთა და მათ ოჯახების დასახმარებლად.

ლტოლვილთა ოხლები.

მთავრობის რწმუნებული გრ. რუხაძე სთხოვს დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრს ახალციხის მაზრაში დარჩენილ ლტოლვილთა ოხლები გადაყვანილ იქმნეს ტფილისის თავშესაფარში.

გზათა სამინისტროში.

ქართველების დაბრუნება ბაქოდან.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა აბელაშვილმა განკარგულება მოახდინა, რათა სადგურ ფოთიდან ბიდის № 3 და № 4 ტფილისიდან ფოთამდე ბიდის სრულიად შეკეთების გამო იარონ იმ დროთი, რომელიც უკვე იყო შემუშავებული ხიდის დაზიანებამდე.

— რკინის გზათა უფროსის თანაშემწემ ინჟ. კენგემ განკარგულება მოახდინა ლიანდაგზე, რომ ძეგვის დაზიანებულ ხიდის საბოლოო შეკეთების გამო საქართველოს რკინის გზები მეზობელ რკინის გზებისაგან უკვე იღებენ ყოველ გვარ საქონელს როგორც სწრაფს ისე მცირე მოძრაობისას მცხეთა-ქსნის მიმართულებით.

ბინების დაცლა.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უფროსმა ლიანდაგის უფროსსა მიწერილობა დაუბავნა, რომლითაც ატყობინებს, რომ შტატ გარეშე დარჩენილი მოსამსახურენი მოვლენი არიან დასაცილონ ბინები ერთ კვირის განმავლობაში; თუ ეს განკარგულება არ შეასრულეს, გზის ადმინისტრაციის მილიციის დახმარებით ეცდება ძალით განდევნონ ისინი ამ ბინებიდან.

შავი ზღვის პირის რკინის გზა.

ტფილისში ჩამოვიდნენ შავი ზღვის პირის რკინის გზის მშენებელნი ინჟინერი კარპოვიჩი და კრანცი. გუშინ ისინი წარუდგნენ გზათა მინისტრს მოხსენებით.

სამხედრო სამინისტროში

ხალით-ბეის დეპეშა ლტოლვილებზე

გენ. მაყაშვილისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩემს შეკითხვაზე უზრუნველყოფილ იქნება სიცოცხლე და ქონება ლტოლვილებისა თავის კერაზე დაბრუნების დროს, ეხლა მივიღე სპასპუნ ტელეფონოგრამა ხალით-ბეისაგან, რომელიც შემდეგს მატყობინებს: როგორც სომეხთა ლტოლვილებს, რომელნიც შეადგენენ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების უმრავლესობას ლტოლვილთა კომიხიის ნებართვით ისე ქართველ ლტოლვილებს აქვთ უფლება დაბრუნების თავიანთ სოფლებში. იმავე დროს ჩემზე ვიღებ ვალად მათ მფარველობას. გთხოვთ აუწყოთ ქართველთა ჯარების უფროსი — დივიზიის უფროსი ხალით-ბეი“.

აირუმის სადგურზე

ეორონცოვკის ჯარების ნაწილის უფროსი პოლკ. რაშპაზეული ტელეფონოგრამით ატყობინებს სამხ. მინისტრს შემდეგს: „გთხოვთ მიბმოთო განკარგულება, როგორ მოვიქცე იმ სომხებს, რომელიც შეიჯგუფებული არიან სადგურ აირუმზე და ნებართვა კი არა აქვთ გასვლისა არც ტფილისში, არც სომხეთის რესპუბლიკაში.

ბათომში წამსვლელთა საყურადღებოდ

სამხედრო მინისტრის ბრძანებით ბათომში გაგზავნენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ექნებათ სამხედრო სამინისტროდან ნებართვა.

იუსტიციის სამინისტროში.

სააპრობილეთა დაცვის გაძლიერება

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა სააპრობილეთა ინსპექტორს უსასტიკესი ზომები იქნებას მიღებული საპყრობილეში წესიერების დასამყარებლად და სააპრობილეთა დაცვის გასაძლიერებლად. იმავე დროს სამინისტრომ სთხოვა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ციხეების დასაცავად გაგზავნილ იქნებას განსაკუთრებული რიცხვი სახლობი გვარდიელთა. ეთხოვა აგრეთვე ტფ. ჯენ.-გუბერნატორს დაცვის გაძლიერება სააპრობილეთა რაიონებში.

განქორწინების საკითხი

იუსტიც. სამინისტრომ მიიღო მთავრობისაგან განქორწინების პროექტი წარდგენილი მთავრობისთვის საკათოლიკოსო სამეფოს მიერ.

საჭარ. იურიდ. საზოგადოება

საქართველოს იურიდიული საზოგადოების გამგეობის კრება დანიშნულია შაბათს, 16 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროში საღამოს შვიდ საათზე.

რედაქტორების სამხარეში მიცემა

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ტფ. ოლქის სასამართლოს პრაკლმდებელს, რათა დაუყონებლივ იქმნას სამართალში მიცემული ის ბეჭედიი ორგანოების რედაქტორები, საცა მოთავსებული იყო ყალბი ცნობები მთავრობის შესახებ. განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხის გამო.

საპყრობილეთა ინსპექტორის ბინის გადატანა.

საპყრობილეთა ინსპექცია იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. ივ. გველესიანის განკარგულებით, ამ დღეებში გადაეცა იუსტიციის სამინისტროს ბინაზე, სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში.

ქვეშევრდომობის კანონი.

ამიერ-კავკასიის რუსთა ერთნულმა საბჭომ გამოუგზავნა იუსტიციის მინისტრს საქართველოს ქვეშევრდომობის ახალ კანონის პროექტი, პროექტს წინასწარ განიხილავს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საიურისკონსულტო ნაწილი.

საგანგებო საქმეთა გამომძიებელნი.

ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა თანამდებობაზე დატოვებულ იქმნენ გ. თ. ჯოშარჯიძე და მ. დ. რესანოვი.

კრება.

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების გამგეობის კრება დანიშნულია შაბათს, ნოემბრის 16-ს, იუსტიციის სამინისტროში, საღამოს 7 საათზე.

ნავთის საკითხი

საქართველოში მოსული ნავთის განაწილების წესის შესახებ მთავრობამ დაადგინა:

ნავთის განაწილება მიენდოს სათათბიროს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან;

ნავთი ბაქოდან უნდა მოდიოდეს შემდეგი მისამართით: ნავთსაყუანი საქართველოს რკინის გზათა, ტფილისი,—აღნიშნით, თუ ვისთვის არის გამოგზავნილი ნავთი;

ყოველ ცისტერნის მოსულას უწყებული ნავთსაყუანის მმართველობა უნდა აცნობებდეს ტელეფონით ვაჭრობა მრეწველობის განყოფილებას;

ნავთის განაწილება უნდა სწარმოებდეს სათბომ სათათბიროს მიერ ყოველ თვით შემოსავებული პლანით;

ყველა, ვისაც ნავთი ეჭირება: რკინის გზები, ფლოტი, პორტები, დაწესებულებანი და სხვ.,—ყველა ვალდებულია აცნობოს მრეწველობის განყოფილებას თვიური მინიმალური ნავთის მოთხოვნილება.

კანონ-პროექტები.

პირველ-დაწყებით სასწავლებელთა გახსნის შესახებ

1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა.

2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სოფლის სკოლაში.

3. გაიხსნას განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახავად თანახმად ამ კანონად დარეულ ხართჯთ-აღრიცხვისა ას ოც და ერთი ათას ოთხას ორმოცი 121440 მანეთი.

გურიის უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელთათვის ერთდროული დახმარების შესახებ.

მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროული დახმარება ლიხაურის, აცანის, ამაღლების და ბახვის უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელთ, თითოს ხში ათასი მანეთი, სულ თორმეტი ათასი 12000 მანეთი.

საინფორმაციო გიშრის ცნობები

გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს ცნობები:

დროებითი ზავის პირობები

ის პირობები, რომლებიც მოკავშირეებმა გერმანიას წარუდგინეს და რომელზედაც ის დასთანხმდა და ხელი მოაწერა, რასაც შედეგათ დროებითი ზავის ჩამოგდება მოჰყვა ყველა ფრონტებზე, ალბად, ამ დღეებში მოვა დაწვრილებით. ეს პირობები გერმანიისთვის მეტად ძნელია. დაახლოებით შიგ შემდეგი მუხლებია: 1) მდინარე რეინის მთელი მარცხენა ნაპირი გერმანიამ უნდა დასცალოს და მას იჭერს მოკავშირეთა ჯარები; 2) რეინის ხაზზე რომ ციხე-სიმაგრეებია, ამათაც ოკუპაციას უშვერება მოკავშირეთა ჯარები; 3) რეინის მარჯვენა ნაპირზე, 30 კილომეტრის მოშორებით იქნება ნეიტრალური ხაზი; 4) გერმანიამ უნდა დაიბრუნოს მოკავშირეებს 150 ათასი სარკინიგზო ვაგონი (გერმანიას ომის დროს წყვიტებული აქვს 90 ათასი ვაგონი ბელგიიდან და 60 ათასი—საფრანგეთიდან); 5) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს სამხედრო ფლოტის ნაწილი; 6) გერმანიამ უნდა შეუშვას მოკავშირეთა ფლოტი კვლარაც; 7) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს სამხედრო მასალის დიდი ნაწილი; 8) გერმანიის სანაპიროებს მოკავშირეთა ფლოტი ბლოკადას უშვრება; 8) აღმოსავლეთით გერმანიამ ჯარებს უნდა დაახევინოს 1914 წლის 1 ივლისის საზღვრამდე. ბელგიის ფრონტზე პირობებში აღნიშნულ საზღვრამდე გერმანიამ უნდა დაახევინოს ჯარს ორი კვირის განმავლობაში—ესაა ვადა მცენაული. რაც შეეხება აღმოსავლეთს—აქ ვადა არაა დადებული: ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოკავშირეებს შიში აქვთ, რომ თუ ვინმეობაა გერმანული ჯარები აღმოსავლეთით უცებ გაგლენ (მაგ., ურაინიდან, ბელორუსეთიდან და სხვ.) იქ ბალშევიზმი გაძლეერდება. შეიძლება თვა განწრახვაც ჰქონდეთ, რომ თანდათან მიმავალი გერმანიის ჯარები ამ ტერიტორიაზე შესცვალონ თავის ჯარებით.

რა მიზანი აქვთ მოკავშირეთა პირობებს?

რასაკვირველია, ეს პირობები დროებითი ზავისა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო კონგრესზე, რიც სამუდამო და საერთო ზავის პირობები გამოიმუშავება—არ შეიცვლება. ინგლისი, მაგალითად, თავისდღეში არ დასთანხმდება იმაზე, რომ რეინის მთელი მარცხენა ნაპირი საფრანგეთს ეჭიროს. ამ პირობებს მხოლოდ ის მიზანი აქვთ, რომ მოუსპონ გერმანიას ყოველგვარი საშუალება და შესაძლებლობა, რაიმე წინააღმდეგობის გაწევისა ან და კიდევ ომის წარმოებისა.

გერმანიის უმაღლესი მთავრობის შემადგენლობა.

გერმანიის უმაღლესი მთავრობა შესდგება 6 პირისაგან: რეიხ-კანცლერად არის ებერტი (სოციალ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი) ეგრეთვე შეიდგმანი და ლანსბერგი, მეორე სამი პირი არიან დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები; ესენი არიან: ჰააზე, დიტმანი და ბარტი, მინისტრებად ისევ ძველები არიან. სამინისტროებში ძველები შეუპარებენ. სტატს-სეკრეტარიც ძველია. მხოლოდ ყველა სამინისტროს უმაღლეს კანტროლს და ხელმძღვანელობას უწევს ალნიშნული 6 პირი. პანდენბურგთან გაგზავნილ ტელეგრამაზე ყველა 6 უწერია ხელი.

საქართველოში მყოფი გერმანული ჯარები.

ჯარისკაცები მშვიდობიანნთ შესდგნენ ამ ამბავს. მათ სურვილი აქვთ სამშობლოში დაბრუნებისა და ეს სურვილი უკვე ამცნეს დელეგაციას. არიან ისეთი ჯარისკაცები, რომელთა სამშობლო რეინის მარცხენა ნაპირია. ბუნებრივია, რომ მათ აწუხებთ იმ ადგილების ბედი, რადგანაც იქ მათ სახლობა და მშობლები ჰყავთ.

აკაკი ჩხენკელი ბერლინში.

აკაკი ჩხენკელი ბერლინიდან ბერნში (შეიცარია) გაემგზავრა, რომ იქ მოელაპარაკოს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს საქართველოს შესახებ.

ალნიშნული პირობები და საქართველო.

ეხება თუ არა ალნიშნულ მუხლი (დამოსაელეთიდან ჯარების გაყვანა) საქართველოსაც. ჯერ-ჯერობით გამორკვეველია. ამის გამო დილეგაც. თავმ. გენ. კრესმ დეპეშა გაუგზავნა ბერლინში მთავრობას, სადა მოთხოვნა განმარტებას: გაიყვანოს თუ არა მიღებული პირობების ძალით ჯარები საქართველოდან. პასუხი ჯერ არ მოსულა. ალბად საქართველოში მყოფ ჯარებსაც ეხება ეს პირობები და ჯარები საქართველოს მალე დასტოვებენ.

შეთანხმების სახელმწიფონი და საქართველო.

შეთანხმების სახელმწიფოებმა მალე უნდა გამოარკვიონ, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოებრივ. სთელნან ისინი მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თუ არა. ფაქტიურად ისინი უნდა დათანხმდნენ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობაზე. თუ ეს ასე იქნება, ისინი, რასაკვირველია, მოითხოვენ გერმანიის ჯარების გაყვანას საქართველოდან და მაშინ აქ დარჩება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიისა. სულ მალე გამოირკვევა, თუ როგორ უყურებს ინგლისი და საერთოდ შეთანხმების სახელმწიფონი წვრილ ერთა თვითგამორკვევას.

როგორ შეხვდნენ გერმანიაში აღნიშნულ პირობებს?

გერმანიის სოციალისტურმა პარტიებმა და სოციალისტურმა ახალმა მთავრობამ მიმართეს შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტებს და დემოკრატიას, რომ აღნიშნული პირობები გერმანიისთვის მეტად მძიმეა, უმთავრესად მღლაკდა, რომელიც ეკონომიურად გერმანიას დაუფლერებს, და მოითხოვენ მათგან, რომ აიძულონ თავიანთი მთავრობანი მომავალ საზავო კონგრესზე დემოკრატიული ზავის პირობების მისაღებად.

გერმანიის ახალმა მთავრობამ რომ მიიღო ეს პირობები, ამით ბა აშკარად დაამტკიცა, რომ მას განზრახვაც არა აქვს რაიმე ომის წარმოებისა.

საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიასთან დადებული ხელშეკრულობანი.

თუ შეთანხმების სახელმწიფოებმა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაკვირველია ყველა ხელშეკრულებანი გერმანიასთან ეკონომიური ხასიათისა ძალაში დარჩება.

დაშნაკცუთიუნის კამპანიის შესახებ.

იმ კამპანიის გამო, რომელიც ასტეხა დაშნაკელთა პრესამ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ლტოლვილთა საკითხის გარშემო—დელეგაციის თავმჯდომარეს კრესს წარუდგინე კერძო პირება და სთხოვეს მას გაეგლვა მოეხდინა საქართველოს მთავრობაზე ამ მხრივ. გენ. კრესსმა მიმართა სომხის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში ბ. ჯამალიანს დაწერილობით ცნობის შესახებ. ბ. ჯამალიანმა უპასუხა, რომ ეს კითხვა არც კი არსებობს, რადგანაც საქართველოს მთავრობის მხრივ რაიმე არ დაშეებას ლტოლვილთა ახალქალაქის მაზრაში დაბრუნებისთვის ალაგი არ ჰქონია. ჯამალიანმა აღნიშნა, რომ მას არავითარი არა აქვს სათქმელი მთავრობის ზომების და მოქმედების საწინააღმდეგო. გენ. ფონ-კრესსმა თანაგრძნობის აღსანიშნავად ლტოლვილთათვის შესწირა სომხურ ეროვნულ საბჭოს 100 ათასი მანეთი ფულად და ერთი ეკიპაჟი ფქვილი.

რევოლიუცია გერმანიაში

გერმანიის პრესა. 12 ნოემბერი.

ზავის პირობები და შიმშილობის გაძლიერება პოლიტიკურ მოსაზრებით მიმართულია გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ეს არის ახლა დაამხო მილიტარისტული მთავრობა და ხალხთა ლიგაში თანაშრომლობაზე და საყოველთაო ზავზე თანხმობა განაცხადა. ეს ვერძნობა ერთნაირათაა გამეფებული გერმანიის ყველა ნაწილებში.

ზავის პირობები.

ინგლისური პრესა. 12 ნოემბერი. ლოიდ ჯორჯმა პალატაში გამოაქვეყნა დროებითი ზავის პირობები.ეს პირობები 3 ნაწილათაა ყოფა: დასავლეთის ფრონტის, აღმოსავლეთის ფრონტის და საზღვაო. დასავლეთის ფრონტის პირობები ასეთია: გერმანელებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალონ დაპყრობილი ქვეყნები: ბელგია,საფრანგეთი ელზას-ლორენი და ლუქსემბურგი, დაპყრობილ ქვეყნებიდან ძალით გაყვანილი მცხოვრებნი უკანვე უნდა დაიბრუნონ: მოკავშირეებს უნდა ჩაებარონ 5000 ზარბაზანი, 30000 ტყვიოსმფრქვეველი, 3000 ნაღმის მტყორცნელი და 2000 ჰაეროპლანი: გერმანიის არმიამ უნდა დასცალოს მე. რეინის მხრეხნით მდებარე ადგილები; დილელი ადგილები შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარი უნდა დაიპიროს; მანვე უნდა დაიპიროს რეინზე გადასასვლელი ადგილები, ხიდელობრ: მაინცთან, კობლენთან და კოლომთან (ვაუგებრანა) თითო ხიდი (გაუგებრანა). ერთს ალაგას, რომლის რადიუსი ცხრის 30 კილომეტრს და ამ ადგილებში მყოფ გარნიზონების 5000 ორთქმავალი, 150000 ვაგონი, 5000 ავტომობილი მოკავშირეთა სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. დაეპირათ ადგილებში, სადაც ჯარის ჯარის დაემაყოფილება და ხარჯი, ელჰას-ლორენის გარდა, გერმანიის მთავრობამ უნდა იკისროს: ყველა სამხედრო ტყვეების დაუყონებლივ სამშობლოში დაბრუნება; ალმოსავლეთის ფრონტის პირობები შემდეგია: გერმანიის ჯარმა უნდა დასტოვოს რუსეთის, რუმინიის და ოსმალოთის ტერიტორია ან ომამდე არსებული საზღვარი იქით უნდა გადავიდეს, ბრესტ-ლიტოვსკის, ბუქარესტის და სხვა ხელშეკრულებათა სრული გაუქმება. საზღვაო პირობები შემდეგია: გერმანიამ უნდა აცნობოს მოკავშირეთ თუ სად სდგას მისი გემები და ჩააბაროს წყალქვეშა ნავები. 16 სამხედრო გემი, 8 კრეისერი და 50 გამანადგურებელი გემი უნდა დარჩეს წერტილურ ნავსაღგურებში, ან და მოკავშირეთა მიერ აღნიშნულ ნავსაღგურებში. ყველა დანარჩენ სამხედრო გემმა სავსებით უნდა აიაროს თავისი გერმანიის ნავსაღგურებში და მოკავშირეთა მთავრობის ზედამხედველობას ქვეშ უნდა იყოს. თავისუფალი მიმოსვლა ბალტიის ზღვაზე. ამ პირობათა უზრუნველსაყოფად მოკავშირე სახელმწიფოთ შეუძლიათ დაიპირონ... (დამხანაკუბულია): შავი ზღვის ნავსადგურების ევაკუაცია და საავიო გემების დაბრუნება.

საქართველოს პარლამენტი

(მე-60 კრება)

დღეს, 15 ნოემბერს პარლამენტის კრებაა.

წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი სახაზინო პაპლაების გაფქმებისა და სახელმწიფო ხაზინის საქმართველოს დაარსების კანონისა.
მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.
2. საბოლოო ტექსტი სახაზინო პაპლაების გაუქმებისა და სახელმწიფო ხაზინის საქმართველოს დაარსების კანონისა.
მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.
3. კანონ-პროექტი გადასახადების აკრებისა.
მომხსენებელია ა. ასათიანი.
4. კანონ პროექტი გადასახადთა ინსპექციის ორგანიზაციის შესახებ.
მომხსენებელია პ. ქავთარაძე.
5. კანონ-პროექტი საბქიჩო უწყების ორგანიზაციის შესახებ.
მომხსენებელია დ. შარაშიძე.
6. კანონ-პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროულ დახმარების შესახებ.
მომხსენებელია ნ. ცინცაძე.
7. შეკითხვა დამოუკიდებელ ეროვნულ ბოკატ. ფრაქციის მთავრობისადმი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მილიონის საღაკვიდაციო ფონდის შესახებ.
8. შეკითხვა პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვისა და ლეონ თუმანოვისა იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი—სასამართლოს განსუსულად პოლიტიკურ პატიმართა ბუდე მდივანისა და სხვ. სატუსაღოში უბრალებლოდ მწყვდეევის შესახებ.
9. შეკითხვა პარლამენტის წევრის დ. დავითბანიანცისა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სიიდმლოების გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

ქ. შ. წ. კ. გამგავრცელებელ საზოგადოებაში

10 ამ თვეს შესდგა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების რწმენებულთა საზოგადო წრეთა კრება. კრებას დაესწრენ საზოგადოების ფილიალეურ განყოფილებების წარმომადგენლების გარდა, გარეშენიც. კრებას სპატიო თავმჯდომარედ ერთხმათ არჩეულ იქნა გ. ნ. ცინცაძე, თავმჯდომარედ დაკავებულ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალეურ განყოფილებების წარმომადგენლების გარდა, გარეშენიც. კრებას სპატიო თავმჯდომარედ ერთხმათ არჩეულ იქნა გ. ნ. ცინცაძე, თავმჯდომარედ დაკავებულ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კითხვები მოწყობა, ხასწავლებელთა კრებების გამართვა. 2) ქართულ ენაზე სახელმძღვანელო სახელო საკითხებზე და 3) წიგნების ეკონომიის ორგანიზაცია საკუთარის წიგნთა ხაწყობისა და მაღაზიის საშუალებით, 4) ეროვნული შუზეუმისათვის ძველი ხელნაწერების, სიგელ-გუჯარების და სხვა ისტორიულ-არქეოლოგიური საბუთების შეკრება, 5) სპეციალურ ფონდების შეკრება და განაწილება რესეთის და საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტიპენდიანტთა შესწავლა, 6) საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გაძლიერებისათვის ზომენა, 7) ქართველ ხოლეგუწყებათა ანთეროების მოწყობა.

1918 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების წიგნთ-საცავში ირიცხებოდა 6815 ქართული ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნი, 5994 უცხო ენებზე დაბეჭდილი წიგნი, 1231 ცალი ანთესტული სხვადასხვა.

1918 წელში ნაყიდია 1003 ცალი ფურცელ, 5498 ცალი ნუმიზმატიკური კოლექცია, 3450 ცალი ფოტოგრაფიული კოლექცია.

დარიბის დღიდან საზოგადოების არსებობის შესახებ (განყოფილების გარდა)—1918 წლის 1-ლ იანვრამდე იყო 758,002 მ. 42 კ. გასაყიდი—490,098 მ. 78 კ. წიგნის მაღაზიის და საწყობის მოეპების სარეო ფული 159,506 მ. 79 კ.

1918 წლის 1 იანვარს იყო ნაშთი 30,482 მ. 45 კ. აქედან 10%—3,048 მ. 24 კ. მიიმატა სათადარიგო თანხას, ხოლო დანარჩენი 90%—შეტანილია 1918 წ. წმინდა მოგების ანგარიშში. 1918 წ. 1 იანვარ: საზოგადოების ბალანსში ფულის 680,548 მ. 82 კ.

მოხსენების შემდეგ კრებამ მუკელობა იქონა საზოგადოების სკოლებისა და სამეთაურო სკოლების შესახებ. გამოირკვა, რომ ზოგიერთ სკოლებში მაგ. ვალაშენში, ალეთში და გომარეთში წარსული სამოწყალო წელს მიცდენობა თითქმის სულ არ სწარმოებდა, რაც გამგეობის აზრით ამხანაგების მასწავლებლების კრიზისით უნეყენო სურათი ქიუბას ბორჩალოს მაზრის წარმომადგენელმა ბ. სვეიონიშვილმა იქაური სკოლების შესახებ: „ერთ სრულიად პატარა ოთახში 80-დე მოწაფესთან უმდებოდა მასწავლებელს ლექციების კითხვა. სკოლის ფანჯრები ჩამტვრეულია, სახურავიდან წვიმ. ჩამოდისო“ და სხვა. ცხადია, ასეთ პირობებში მასწავლებლები კიდეც რომ ეშრომნა გამგეობას, ხასეზებულ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურათ მაინც ვერ იწარმოებდა. რწმენებულ კრებულ ნინიძის წინადადებით სკოლების შესახებ კრებამ დაადგინა: „სკოლები ჯერ კიდევ დარჩეს საზოგადოების გამგეობაში, ეთხოვოს მთავრობას სკოლების შესახსნად სუსხდეს. სახოგადოების სკოლების მასწავლებელს იმდენივე ჯამაგირი დაენიშნოს, რამდენიც განათლების სამინისტროს სკოლების მასწავლებლებს აქვთ“. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს გამგეობას უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინოს პროვინციის ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს; კერძოთ ტფილისში არსებულ საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის კრებამ 15 ათასი მანეთი გადასდო. დასასრულ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ: კარიჭე ნინიძე, გიორგი წულაძე, ეფრემ ბურჯანაძე, კალე ქავთარაძე.

სეით იაშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, დ. კარიჭაშვილი, ია. ვართაგავა და შ. დედაბრიშვილი. კანდიდატებათ: ჩ. შარაშიძე, უ. ელიავა, გ. უსეინაშვილი, მ. კაკაბაძე, ბ. ქეცბაიანი, ს. დადიანი და ი. იაშვილი; სარეგიზიო კომისიაში—დ. დუმბაძე, ე. ავალიშვილი და გ. მაჭავარიანი. კრებამ გ. ნ. ყაზბეგი გამგეობისა და საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია, ხოლო დ. კარიჭაშვილი, ლ. ბოცვაძე და გ. რცხილაძე საზოგადოების საპატიო წევრებათ.

13 ნოემბერს, სალამის 5 საათზე შესდგა წ. კ. გ. საზოგადოების ახლად არჩეული მთავარი გამგეობის პირველი მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ დ. გ. კარიჭაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ თ. გ. კიკვაძე, მდივნად ვ. ა. ბურჯანაძე, ხოლო ხაზინადრად—შ. ზ. დედაბრიშვილი.

სასკოლო სექციის თავმჯდომარედ—ლ. გ. ბოცვაძე. ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექციისა დროებით დატოვებულ იქმნა ვას. კახიძე, სამწიგნობრო სექციის—თ. გ. კიკვაძე, ხოლო სამუზეუმო—დ. გ. კარიჭაშვილი. დადგენილ იქნა გამგეობის მორიგი სხდომები იმართებოდეს შაბათობით.

გ.

ქალაქის გამგეობაში.

ადგილების შეფასება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ეხლავე შეუდგეს საბურთალოს მამულების შეფასების ჭ ამის ხელმძღვანელათ დაინიშნა ქალაქის მიწის მზომელი მ. ი. მადათოვი. პირველათ უნდა დაფასდეს ის მამულები, რომელზედაც შენობებია აგებული დაბლობ ადგილებში, მომავალ გაზაფხულზე კი ჯერ უნდა შედგენილ იქნეს პლანშეტები და გამორკვეულ იყოს რა ალაგას შეიძლება შენობების ნებართვა და შემდეგ დაფასდეს ეს ალაგებიც.

გაფიცვის მოლოდინში.

ქალაქის ექიმთა კავშირის უკანასკნელ კრებას მსჯელობა ჰქონდა, იმის შესახებ, შეუერთდეს ქალაქის მოსამსახურეთ იმ შემთხვევაში თუ მათმა კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა ჯამაგირების მიუღებლობისა გამო, თუ არა. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. მეტი წილი ექიმებისა იმ აზრზე დგას, რომ ამ შემთხვევაში გაფიცვა საქმეს ვერ უშველის, და თუ ქალაქის მოსამსახურეთა კავშირმა მაინც გაფიცვა გამოაცხადა, ექიმთა კავშირი მათ მხარს ვერ მისცემს სამსახურის ვალდებულობისა და პროფესიონალურ ეტიკეტის გამო.

რეორგანიზაციამდე.

ქალაქის ექიმთა კავშირის კრებაზე განხილულ იყო ქალაქის გამგეობის წინადადება, რომ მან ეხლავე ამოირჩიოს კანდიდატი ქალაქის საექიმო-სასანიტაროს ინსპექტორის ალაგის დასაკავებლად, რადგანაც ამ თანამდებობის შემსრულებელი ექიმი ი. ს. ბგატიანცი დანიშნულ იქმნა ქალაქის ჭისწინის უფროს ექიმის თანაშემწედ. კრებამ დაადგინა ამ თანამდებობის დასაკავებლ კანდიდატის არჩევანზე თავი შეიკავოს ქალაქის ახალ საბჭოს არჩევნის დამთავრებამდე, სარკილიდაც გადადებულია ქალაქის საექიმო სასანიტარო განყოფილების რეორგანიზაცია.

სასწავლებლებში.

ქალაქის სასწავლებელთა საბჭო შეუდგა ქალაქის დასაწყისი სასწავლებლების სახელების შეცვლას.

ბაღი.

ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ალექსანდროვის ზემო ბაღი, რომელიც განსაზღვრული იყო ბავშვებისათვის, ამიერიდან იყოს ღია საზოგადოების სასარგებლოთ.

ლოტო.

ქალთა საზოგადოების ქალაქის გამგეობამ არ მისცა ნება რუსის კლუბში ოქტომბრის 15 და 23 ლოტოს თამაშობა გამართოს.

ქრონიკა

○ დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მორიგი დამატება, ეროვნულ საბჭოს სტენოგრაფიულ ანგარიშით, სტამბის მიზეზების გამო, არ გამოვიდა.

○ 20 ამ თვიდან გამოვა ქართულ ენაზე ვანო საათაშვილის რედაქტორობით ეჭიმის თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის ორგანო „ექიმთა თანაშემწე“. მისამართი: ელისაბედისა და კირონის ქ. კუთხე. ქსენონში.

○ ქართული სამუსიკო საზოგადოება კვირას 17 ნოემბერს 12 საათზედ ოპერულ სასწავლებელში მრჩევის უფასო კვარტეტიულ კონცერტს მოსწყობს ახალგაზდობისათვის.

○ ქალაქის თვითმართველობამ გახსნა უფასო სამკითხველო მეხუთე უბანში. მისამართი: ბნელი შესახვევი № 24.

○ 16 ნოემბერს დილის 10 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში შესდგება უწყებათაშორისი კრება საერთო ქონების ერობათა დაწესებულებების განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

○ გუშინ საღ. 6 საათზე კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდა ტფილისში სომეხთა სამშვიდობო-დელეგაცია ა. ჯაროონიანის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად ტფილისში ჩამოვიდა 60 კაცი სამხედრო ტყვეებისა.

○ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში დაიწყო შაქრის გაყიდვა მცხოვრებლებზე, რომლების რაციონი წინანდელივეა დატოვებული ე. ი. 1 გრო. შაქრის ფხვნილი და ½ გრო რაფინადი სულზე. რაფინადი იყიდება 3 მან. 10 კ. ხოლო შაქრის ფხვნილი 2 მ. 95 კ. გრო.

ქუთაისი

○ წ. კ. გ. საზოგადოების საზოგადო კრება. ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, მოხდა წ. კ. გ. საზოგადოების წევრთა საზოგადო არა ჩვეულებრივი კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ცაგარეიშვილი. გასარჩევი იყო შემდეგი საჩქარო კითხვები: გამგეობაში დამატებითი წევრების არჩევა, ზდანოვიჩის გაყიდული მამულის ჩამორთმევა და ტფილისში დელეგატების გაგზავნა. პირველი კითხვის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: რადგანაც ძველ გამგეობას სხვა და სხვა მიზეზების გამო გამოაკლდა 7 წევრი, ამიტომ მათ სამაგიეროთ იქნან არჩეულნი ახალი გამგეობის წევრები. მეორე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების გამგეობამ ყოველგვარი ზომები მიიღოს, რათა ზდანოვიჩის მამული დაბრუნდეს ხსენებულ საზოგადოებას. და ბოლოს არჩეული იქნა 8 დელეგატი ტფილისში გასაგზავნათ მთავარ გამგეობის საზოგადო წევრთა კრებაზე დასასწრებლათ. არჩეული იქნა შემდეგი პირები: ს. კილაძე, თ. ასათიანი, გ. ლალიძე და ი. ფანცხავა და ოთხი მანდატი გადაეცა ტფილისში ამავე საზოგადოების წევრებს.

○ ვაჭარ-მრეწველთა ბიურო ატყობინებს შრომის კომისიას საამთაოფოფო კასების დაარსების შესახებ, რომ მართალია ჩვენ საზოგადოებაში შემოდიან ვაჭარ-მრეწველნი და ხელოსნები, მაგრამ რაოდენობა ნამდვილ წევრებისა გამორკვეული არ არის და არ ვიცი რომელი მათგანი დარჩება ნამდვილ წევრათ. ამის ჩვენ გამოვარკვევთ ამ მოკლე ხანში საზოგადო კრებაზე და ამის შემდეგ დაწერილებით პასუხს გაცნობებთო.

○ ფოთი. ქ. ფოთის მცხოვრებ ზ. აკიმოვთან სახალხო მილიციონერების სახელით მოვიდნენ ვილაც პირები გასაჩხრეკათ, რომლის დროსაც წაიღეს 80 მ. ვერცხლის ფული და სხვა ნივთები. ამის შესახებ სწარმოებს სასტიკი გამოძიება.

○ გუბერნიის კომისარმა შემდეგი დეპეშით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს: ახალი ავადმყოფობა ძლიერ გავრცელდა, ავადმყოფთა მსხვერპლი დღეში ასამდე ადის. წამალი არ იშოვება, აქეს მხოლოდ მიმწოდებელ კომიტეტს, რომელიც ჩემს თხოვნას ვერ ასრულებს. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება რათა მომცეს მიმწოდებელმა კომიტეტმა წამალი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები წამალი სხვა ზომებით გამოვიტანო.

○ გაჩხრეკა. 7 ნოემბერს სისხლის სამართლის მილიციის უფროსისათვის მიუცია ცნობა, რომ რაფაელ ელუაშვილის დუქანში ინახება ჯარის კაცის ტანისამოსი. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ერანოსოვი მილიციონერებით წასული გასაჩხრეკათ. დუქანში მყოფ სიმონ ელუაშვილს მილიციონერის ხელით ერანოსოვისათვის შეუძლეთა 400 მ. ქრთამი, რათა დუქანი არ გაეჩხრიკათ. მილიციონერს ეს მოუხსენებია ერანოსოვისათვის, ერანოსოვს განგება გამოუთქვამეთა ფული და დუქანი მაინც გაუჩხრეკია, სადაც აღმოჩენილა ჯარის კაცების სათბურები და პალტოები. ყოველივე ამის შესახებ ერანოსოვმა შეადგინა ოქმი ჩ წარუდგინა სასჩელის სამართლის მილიციის უფროს.

○ გადასახადების აკრეფა. მაზრის ადმინისტრაციის მიერ მიღებულმა ზომებმა გასჭრა და ზოგ რაიონებში უკვე მოხდა აკრეფა გადასახადებისა; იმ რაიონებში, სადაც არ გადაუხდიათ, შეპირებიან, რომ ერთ კვირაში იქნება გადახდილიო.

○ ვ. მალაქიაშვილის ავათმყოფობა. ჩვენი ბელეტრისტი და ჟურნალისტი ვ. მალაქიაშვილი მძიმედ არის ავათ.

○ სახხედრო უწყებამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ეკრძალებათ ჯარის კაცებს უნებართვოთ ქუჩაში გამოსვლა.

○ გუბერნიის კომისარიატის ცნობით 5 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრამდე მთელ გუბერნიაში მკვლელობა მომხდარა ორჯერ, ძარცვა-გლეჯა—ოთხჯერ, 13—21 ოქტომბრამდე მკვლელობა—ორჯერ, დაჭრა—ერთჯერ, ძარცვა გლეჯვა—ერთჯერ, ქურდობა—ორჯერ, ცეცხლის გაჩენა—ორჯერ. 21—28 ოქტომბრამდე მკვლელობა—ოთხჯერ, ძარცვა გლეჯა-ცხრაჯერ, ცეცხლის გაჩენა—ერთჯერ.

განცხადებები

არჩილ ამბაკოს ძე ნიკობაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ლატარიის ორი ბილეთი № 261. 262 ამა წლის ოქტ. 28. 1010 3-1

პოდპოლკოვნიკი კონსტანტინე პროკოფის ძე ანდრონიკოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პიროვნების მოწმობა, მიღებული ქ. ტფილისის გარნიზონის უფროსისაგან 1918 წ. ივნისის 9ვიდს, 305 №-ით. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 961 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 4 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზატეორნიცკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანასტასია დიმიტრის ასულმა მარიტემ 1600 მან. მიჰყიდა აიეზ მარკოზის ძე ოგანესიანებს მამული ქ. გუდაუთაში, ზომით $75^{11}/_{15}$ ოთხკ. საქ. 423 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 13 დამტკიცებულია, გაგრის ნოტარიუს ლებედინსკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სერგო ნიკოლოზის ძე ნახიმოვმა 17760 მან. მიჰყიდა ბაღდასარ ოვანეის ძე ესეზიანს მამული ახალ გაგრაში, ზომით 592 ოთხკ. საქ. 696 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 2 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიულ ზაგარისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ფარნაოზ ტიმოთეს ძე გაბუნიამ 3.000 მან. მიჰყიდა ანტონ პიგოს ძე შაბათაევს და პოლიკარპე მიხეილის ძე ჰაჟანიძეს მიწის ნაკერი ქ. გუდაუთაში № 5. ზომით 183,3 ოთხკ. საქ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 120 მან. საღერბო 15 მ. 934 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 8 დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზატეორნიცკისთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოსე მოსეს ძე შეცკოვმა 7000 მან. მიჰყიდა პაველ ვასილის ძე ტურხანს მამული ქ. სოხუმში, ზომით 150 ოთხკ. საქ. 695 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 2 დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ ათანასის ასულმა პრესტოვა-პუკალოვამ 100 მან. მიჰყიდა დიმიტრი ივანეს ძე ლებედინსკის მამული გაგრაში, ზომით 185 ოთხკ. საქ. 694 1—1

ამ წლის 9 ნოემბერს ჩემდამი ჩუმენებულ საგუბერნიო ციხის პატიმარმა ზაქარია გაგოლას ძე მანგიაშვილმა დაჰკარგა უბიდგან უვადო პასპორტი, მიღებული დუშეთის საპოლიციო სამმართველოს მიერ 1907 წ. რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 946 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 17 დამტკიცებულია, ამა წლის მაისის 14 შედგენილი ნაჩუქრობის სიგელი, რომლითაც მღვ. იოსებ ივანეს ძე ჭუმბურიძისაგან აქვს მიცემული მანუკა ბესარიონის ასულს ჭუმბურიძეს მიწის ნაკერი შენობებით ქ. ქუთაისში, ზომით $916^{1}/_{2}$ ოთხკ. საქ. ფასი 300 მან. მთავარი ამონაწერი 2 მან. 50 კაპ. ღირებულ ღერძის ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ოქტომბრის 17. 791 1—1

ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტ. 24 კოოპერატივთა ამხანაგობის და მათი კავშირის წესებაში შეტანილია ცვლილის მომრიგებელი საზოგადოება „ბორბა“. 939 1—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს მოქალაქე ს. ა. კაგრამანოვი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 7, დილის 10 საათზე მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ერემია სანოგიანცის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს დგამს და სხვა ავეჯეულობას, შეფასებულს 1165 მან. ვაჭრობა მოხდება სანოგიანცის ბინაზე, ვოლოვოზნია ქ., № 14. 959 1—1

სამტრედ იის მომრიგებელ უბნის გამგე სამ საქ. წარმ. მე-1401 მუხ. ძალით იწვევს ვასილ სამონის ძე კლაჯეიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კლაჯეიშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

$\frac{1}{1}$—887—1

სამტრედიის მომრიგებელი უბნის გამგე სამ. საქ. წესდების მე-1401 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ ალექსი სესლას ძე კობახიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კობახიძის ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 889 1—1

სამტრედიის მომრიგებელი უბნის გამგე სამ. საქ. წარ. წესდ. მე-1401 მუხ. ძალით იწვევს ლუკა პაველს ძე ბოხუას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბოხუას ქონებაზე სამ. კან. კრ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1—888—1

ამა წლის ივლისში ბინიდან მოპარულია შემნახველი ხელწერილი ტფილისის სახელწიფო ბანკისა, 1917 წ. ოქტომბრის 17. № 04930 17500 მან., რომელიც ეკუთვნოდა ეფროსინე მიხეილის ასულ გროდენსკის. ეს ხელწერილი გაუქმებულად ითვლება. 3—1024—1

სამსონ ბესარიონის ძე გეგეშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი და იარაღის ტარების მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ მიაწოდოს შემდეგი მისამართით: მეტეოის ქუჩა № 38, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 1020 3—2

ლევანტი გლახუას ძე ძნელაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სახალხო გვარდიაში თანამშრომლობის მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: არსენალი, საარტილერიო საწყობი. 1023 3—2

ქ. ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 წლ. 25 დადგენილებით, სამოქ. კან. წესდ. მე-1460[44] მუხ ძალით აცხადებს, რომ ვეძლომება მიცემული ალექსანდრე ნაზარის ძე მილოვის მიერ არკადი (იგივე არშაკ) ნაზარის ძე მილოვზე, ვექილობა, რომელიც შედგენილია ტფილისის ნოტარიუს მიტკევიჩთან 1910 წ. მარტის 22 რეესტრი № 3328, გაუქმებულად ითვლება. 946 3—2

ვაჟა მელქონის ძე ნაზარეტიანცი აცხადებს, რომ ნოემბრის 6-ს მას ჯიბიდან ამოართვეს საფულე, რომელშიაც იყო 250 მ. კვიტანციები და უვადო პასპორტი, წამლებს თხოვენ მისთვის გამოუსადეგარი საბუთები დაუბრუნოს: ალექსანდრეს ქ. № 5. 1031 3—2

ცენტრალური სასურსათო საბჭო

(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—1